



საქართველო GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 13302/01
17/12/2021

13302-01-2-202112171432



შპს „აგროჰაბის“ დირექტორს,
ბატონ ლაშა გოცირიძეს
ელ. ფოსტა: a.c.garemo@gmail.com;
G.Jashiashvili@agrohub.ge

ბატონო ლაშა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 30 ნოემბრის N21405 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. სელეციაში ენერჯის მიღების მიზნით (სათბურის გასათბობად) მეორადი ზეთების გამოყენებას (ნარჩენების აღდგენა) და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებაში, ცხრილ N1-ში წარმოდგენილი GPS კოორდინატი (X-474500; Y-4643225) ემთხვევა კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ს/კ 72.02.42.291), რაც საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოდ, თავში 1 „პროექტის მიზანი“ აღნიშნულია, რომ „ნახმარი ზეთების წვის შედეგად ენერჯის მისაღებად შერჩეული იქნა ჩინური წარმოების, 50 კვ-იანი KV50-მარკის ნახმარი ზეთების გადამუშავებული (ინსინერატორი) სანთურა (ორკამერიანი უნივერსალური ინსინერატორი)“, ასევე დოკუმენტში მითითებულია, რომ „საქვებში უკვე დამონტაჟებულია და ფუნქციონირებს ბუნებრივ აირზე მომუშავე ღუმელი. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში იგეგმება ამავე ადგილას ნახმარი ზეთების ინსინერატორის და საწვავის მცირე ავჯის დამატება.“ ამასთან, თავში 7 „გამოყენებული დანადგარი“ მოცემული ინფორმაციის თანახმად, „ნახმარი ზეთის გამოყენებით ენერჯის მისაღებად გამოყენებული იქნება უნივერსალური ღუმელი (KV50 Waste Oil Burner.)“, ხოლო ტექნოლოგიურ პროცესში განხილულია მხოლოდ ღუმელის მუშაობა და არაფერია ნახსენები ინსინერატორის შესახებ. დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია (დამატებულია) თუ არა ინსინერატორი/ღუმელი, თუ იგეგმება ახალი დანადგარის განთავსება. ამასთან, თუ ინსინერატორი და ღუმელი განხილულია

ერთ დანადგარად, სკრინინგის განცხადებაში ტერმინოლოგია მოყვანილი უნდა იყოს შესაბამისობაში. გარდა ამისა, სკრინინგის განცხადების თანახმად, სათბურის გასათბობად იგეგმება საწვავის - ბუნებრივი აირის მეორადი ზეთებით ჩანაცვლება. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს იგეგმება თუ არა ბუნებრივ აირზე მომუშავე ღუმელის დემონტაჟი ან/და მისი კვლავ გამოყენება;

- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იქნეს ინფორმაცია ნარჩენების ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების (კოდი, დასახელება, რაოდენობა) შესახებ, შემდგომი მართვის საკითხების გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადებაში საწარმოს ექსპლუატაციისას მოსალოდნელი ნარჩენების და მათი მართვის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით, სადაც ნარჩენების რაოდენობა გაწერილია 2019, 2020, 2021 წლების მიხედვით, რაც საჭიროებს კორექტირებასა და მიმდინარე პერიოდისთვის მოსალოდნელი ნარჩენების რაოდენობის წარმოდგენას; გარდა ამისა, სკრინინგის განცხადება არ მოიცავს ინფორმაციას საწარმოში მოსალოდნელი ნარჩენების წარმოქმნისა და მათი ტერიტორიაზე დროებითი განთავსების შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის გათვალისწინებული საწარმოში მისაღები (ენერჯის მიღების მიზნით) ნარჩენების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, ნარჩენის კოდები, დასახელება, წარმოშობა, რაოდენობა „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების შესაბამისად. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იქნეს ინფორმაცია ნარჩენის აღდგენის ოპერაციის შესახებ (აღდგენის ოპერაციის კოდი) „ნარჩენების მართვის კოდექსის“ დანართი I - ის შესაბამისად. ასევე, მიზანშეწონილია დოკუმენტში გათვალისწინებული იქნეს „ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 8 ივნისის N325 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, „შენობების ირგვლივ დამატებით მოეწყობა წყალშემკრები დრენაჟი და დაერთებული იქნება გამწმენდ ნაგებობაზე (სალექარზე), რომ არ მოხდეს შემთხვევით დაღვრილი საწვავის პირდაპირი სახით ბუნებაში მოხვედრა“. დაზუსტებას საჭიროებს სალექარის პარამეტრები, მოცულობა და მასში მოხვედრილი საწვავისა და დაბინძურებული წყლების შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროდ დახასიათებულია მხოლოდ ღუმელი და შესაბამისი გაანგარიშებაც გაკეთებულია მხოლოდ მასზე. თუმცა, სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „რეზერვუარში საწვავის მიღება განხორციელდება ავტოცისტერნების საშუალებით. ავტოცისტერნა დაერთდება საწვავის რეზერვუარის სარქველზე, რომელიც განთავსებული იქნება რეზერვუარის თავზე. რეზერვუარზე მიერთებული იქნება საწვავის გამცემი მილი.“ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, სავარაუდოდ, მოსალოდნელია სხვა გაფრქვევის პოტენციური წყაროების არსებობა, როგორცაა ავტოცისტერნებით საწვავის მიღება, რეზერვუარის სარქველი, საწვავის გამცემი

მილი. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს გაფრქვევის წყაროების რაოდენობა და ატმოსფერულ ჰაერზე ყველა მათგანიდან მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია. ამასთან, დახასიათებული უნდა იყოს გაფრქვევის ყველა პოტენციური წყარო, როგორც სტაციონარული, ასევე, მობილური და დისპერსიული (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

